საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

3983-01-2-201908211203

N 01/3983
21/08/2019

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს
სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ზურაბ წიქვაძეს

ბატონო ზურაბ,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 20 აგვისტოს №6/49696 წერილი (შემოსული №7419/01 20.08.2019) ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმნის ტერიტორიაზე მდებარე 1751 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №61.11.21.811) პრივატიზებასთან დაკავშირებით და თავის კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს დაბა აბასთუმნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების ბოლო ეტაპები, რომლის საფუძველზეც ახალი ქალაქთგეგმარებითი გარემოებების გათვალისწინებით განისაზღვრება ტერიტორიების სამშენებლოდ განვითარების პირობები და დადგინდება შესაბამისი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები. წინასწარი ვერსიით აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ლანდშაფტურ ზონას, სადაც ბუნებრივი ლანდშაფტისა და აქტიური გამწვანების გამო, მისი სამშენებლო განვითარება ვერ განხორციელდება. გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სარეკრეაციო ფუნქციით, გამწვანების სრული შენარჩუნებით და კეთილმოწყობის პირობით.

პატივისცემით,

ნინო გვენცაძე

დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722